

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
საქართველოს კანონის პროექტზე
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში. აღნიშნული მუხლი შეეხება მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამხედრო სამსახურში გაწვევის საფუძველს. კანონის მოქმედი რედაქციით სამხედრო სამსახურში გაწვევის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის წარდგინებით შეიმუშავენს ეროვნული უშიშროების საბჭო, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს აღნიშნული პროცესის სრულყოფას და ითვალისწინებს ბრძანებულების პროექტის მომზადების პროცესში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მონაწილეობას.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცედურაში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მონაწილეობა ხელს შეუწყობს ბრძანებულების მომზადების კანონით გათვალისწინებული პროცედურის სრულყოფას და ოპტიმიზაციას.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის
საპარლამენტო მდივნის სამსახური.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.